„ისლამური სახელმწიფო“ და გამოწვევები მსოფლიო უსაფრთხოებისათვის

ხატია ჯალაღონია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პოლიტიკის მეცნიერება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი სანიკიძე, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2017

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ხატია ჯალაღონია, 26.06.2017

მადლობა

მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ჩემი აკადემიური ხარისხის ხელმძღვანელს ბატონ გიორგი სანიკიძეს დახმარებისთვის, ასევე კვლევაში მონაწილე ყველა ადამიანს, რომელთაც დიდი დახმარება გამიწიეს კვლევის ჩატარების პროცესში, მათი წვლილის გარეშე ვერ დავდებდი ამ შედეგებს.

აბსტრაქტი

ტერორიზმი ეს უძველესი ფენომენია, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში არსებობდა. იგი წარმოადგენდა გარკვეული ორგანიზაციებისა და კერძო პირების პოლიტიკური მიზნების მისაღწევი ძალადობრივი ქმედების მეთოდს. რაც შეეხება დღევანდელობას, ტერორისტული საქმიანობა გახდა ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პრობლემა.

ტერორიზმის ფენომენი მჭიდროდ უკავშირდება ისეთ მოვლენებს, როგორიცაა სეპარატიზმი, რელიგიური და სხვა სახის ექსტრემიზმი.

დღესდღეობით მრავალი ტერორისტული, ექსტრემისტული დაჯგუფება და ორგანიზაცია არსებობს, რომელთა საქმიანობასაც უამრავი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. ამ ორგანიზაციებს შორის ამჟამად ყველაზე სასტიკ ორგანიზაციად აღიარებულია „ისლამური სახელმწიფო“.

ნაშრომი შედგება შესავალის, ლიტერატურის მიმოხილვის, 4 თავის, 5 ქვეთავისა და დასკვნისაგან.

ნაშრომის პირველი თავის პირველ ქვეთავში მიმოხილულია ტერორიზმის წარმოშობის ისტორია. ტერორიზმის არსში უკეთ ჩასაწვდომად აუცილებელია იმის განხილვა, თუ როდის და სად მოხდა მისი აღმოცენება-განვითარება. ადამიანთა ცივილიზაციის რამდენიმე ათასწლეული განმავლობაში ტერორისტული მეთოდები გამოიყენებოდა სხვადასხვა ქვეყნის, რელიგიური დაჯგუფებების, პოლიტიკური ორგანიზაციების და კრიმინალური გაერთიანებების მიერ.

ნაშრომის პირველი თავის მეორე ქვეთავი აღწერს ტერორიზმის ფორმებს მიზნებს და გამოწვევებს. იმისათვის რომ მოხდეს ტერორისტული აქტების თავიდან აცილება და აღკვეთა აუცილებელია ამ მეტად საშიში სოციალური მოვლენის ფორმებისა და კონკრეტული სახეების გამოყოფა, რადგან კლასიფიკაციის პრობლემის მოგვარებაზე

დიდ წილადაა დამოკიდებული სისხლისსამართლებრივი რეგულირების ეფექტურობა და ტერორისტული აქტების პრევენციის ტაქტიკა.

ნაშრომის მეორე თავში დახასიათებულია ისლამური ტერორიზმი და სხვადასხვა ტერორისტული დაჯგუფებები და ორგანიზაციები, მათი წარმოშობის ისტორია და განვითარება.

ნაშრომის მესამე თავში განხილულია ორგანიზაცია „ისლამურ სახელმწიფო“. პირველი ქვეთავში საუბარია ისლამური სახელმწიფოს ფორმირებაზე და მისი განვითარების გზაზე ამ ორგანიზაციის სათავეში მდგომ მეთაურებზე. მესამე თავის მეორე ქვეთავში აღწერილია ისლამური სახელმწიფოს მიზნები. ორგანიზაციის უმთავრესი მიზანია სირიის, ერაყისა და ლიბანის ტერიტორიაზე სუნიტურ ისლამური სახელმწიფოს შექმნა, რომელიც შარიათის კანონებით იცხოვრებს. მესამე თავის ქვეთავში საუბარია ისლამური სახელმწიფოს როგორც გლობალური საფრთხის მომცველ ფენომენზე.

ნაშრომის მეოთხე თავში წარმოჩენილია ტერორიზმთან ბრძოლის მეთოდები და ტაქტიკა, ასევე საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობები და ტერორიზმთან ბრძოლის აქტები, კონვენციები და ნორმები.

დასკვნაში შეჯამებულია ნაშრომში განხილული მასალა და წარმოდგენილია ტერორიზმთან ბრძოლის რეკომენდაციები.

კვლევისას გამოყენებულია ისტორიული, შედარებით-ისტორიული, შედარებით-სამართლებრივი და სოციალური კვლევის მეთოდები, წარმოდგენილია ინფორმაციულ-შემეცნებითი და შედარებით-სამართლებრივი ასპექტები. გარდა ამისა, კვლევაში გამოყენებულია ანალიტიკური და შედარებითი ანალიტიკური მიდგომა, სტანდარტული იურიდიული კვლევის მეთოდი.

Abstract

Terrorism is an oldest phenomenon that existed for centuries. It presented the method of violent actions aimed at political purposes of certain organizations and individuals. As for nowadays, terrorist activity has become one of the most corrosive problems.

The phenomenon of terrorism is closely related to events, such as separatism, religion and other forms of extremism.

Nowadays there are many terrorist, extremist groups and organizations which caused many people's death. Among these organizations, "The Islamic State" is the most violent organization nowadays.

The work consists of the introduction, literature review, 4 chapters, 5 sub-chapters and conclusion.

The first sub-chapter of first chapter reviews the history of terrorism origin. To understand better the essence of terrorism, it is necessary to review when and where it has evolved and developed. During several thousand years of civilization, terrorist methods were used by different countries, religious groups, political organizations and criminal unions.

Second sub-chapter of first chapters describes the forms, aims and challenges of terrorism. To prevent and eliminate terrorist actions, it is necessary to allocate forms of dangerous social events and certain types, because the effectiveness of prosecution regulation and prevention tactic of terrorist acts are largely depended on the problem resolve.

The second chapter characterizes the Islamic terrorism and various terrorist groups and organizations, history of their origin and development.

The third chapter of work describes the organization "Islamic state". The first sub-chapter is about Islamic state formation and the heads of organization on the way of its development.

The second sub-chapter of third chapter describes the aims of Islamic State. The main goal of the organization is to create Islamic State in a Sunni territory of Syria, Iraq and Lebanon which will live under Sharia laws. The sub-chapter of third chapter is about Islamic State as a global threat phenomenon.

The fourth chapter represents the methods and tactics of struggle with terrorism, also a legislation of Georgia and foreign countries and acts of struggling with terrorism, conventions and norms.

The conclusion summarizes the reviewed material and presents recommendations for struggling with terrorism.

For the research it is used historical, comparable-historical, comparable-legal and social research methods, informative-cognitive and comparable-legal aspects are represented. In addition, the study uses an analytical and comparative analytical approach, standard legal research method.